№2528 2014 წლის 29 დეკემბერი ქ. თბილისი

„ამერიკის შეერთებულ შტატებს, რომელიც მოქმედებს ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის სახელით, და საქართველოს შორის „ათასწლეულის გამოწვევის შეთანხმების (კომპაქტის)“ რატიფიცირების თაობაზე“ საქართველოს პარლამენტის 2013 წლის 4 ოქტომბრის დადგენილებით რატიფიცირებული ათასწლეულის გამოწვევის შეთანხმების ფარგლებში, „საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდიდან“ (GRDF) განათლების სფეროში დაფინანსებული მომსახურებისათვის/მიწოდებისათვის 2014 წელს გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადის დაფინანსების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსათვის დავალების შესახებ

„ამერიკის შეერთებულ შტატებს, რომელიც მოქმედებს ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის სახელით, და საქართველოს შორის „ათასწლეულის გამოწვევის შეთანხმების (კომპაქტის)“ რატიფიცირების თაობაზე“ საქართველოს პარლამენტის 2013 წლის 4 ოქტომბრის დადგენილებით რატიფიცირებული ათასწლეულის გამოწვევის შეთანხმების 2.8 ნაწილისა და VI დანართის საფუძველზე, „საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდიდან“ (GRDF) განათლების სფეროში დაფინანსებული

მომსახურებისათვის/მიწოდებისათვის 2014 წელს გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადის დაფინანსება (არა უმეტეს 282 018 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი, გადარიცხვის დროისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსის შესაბამისად) დაევალოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, „საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით „ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს“ პროგრამის (პროგრამული კოდი: 32 06) ფარგლებში გათვალისწინებული ასიგნებებიდან.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**